სოციალური მედიის მოხმარების როლი სოციალურ შფოთვასა და სხეულით უკმაყოფილებას შორის

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი

სტუდენტი: ცინარი ჯოხარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცინარი ჯოხარიძე

5 ივნისი, 2025

აბსტრაქტი

დაინტერესება იმ ფსიქოლოგიური ფაქტორების მიმართ, რომლებიც სხეულით უკმაყოფილებაზე ახდენენ გავლენას, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა, რაც განპირობებულია სოციალური მედიის გავრცელებითა და მენტალური ჯანმრთელობის გლობალური გამოწვევებით. აღნიშნულმა კვლევამ შეისწავლა კავშირი სოციალური შფოთვის, სოციალური მედიის მოხმარების ინტენსივობისა და სხეულით უკმაყოფილებას შორის. გამოყენებული იყო კორელაცია, რეგრესიული მოდელი და მოდერაცია, 106 ადამიანის მონაცემებზე დაყრდნობით. შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც სოციალური შფოთვა, ისე სოციალური მედიის მოხმარება დადებითად კორელირებს სხეულით უკმაყოფილებასთან. რეგრესიული ანალიზით დადგინდა, რომ ორივე ცვლადი მნიშვნელოვან პროგნოზირებს სხეულით უკმაყოფილებას, თუმცა მოდერაციული ეფექტი სოციალური მედიის მხრიდან არ გამოვლინდა. კვლევა ხაზს უსვამს ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და მედია-გარემოს ურთიერთკავშირის სიღრმისეულად შესწავლის საჭიროებას, განსაკუთრებით ახალგაზრდულ პოპულაციებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური შფოთვა, სოციალური მედიის აქტიური მოხმარება, სხეულითუკმაყოფილება.

Abstract

Interest in the psychological factors influencing body dissatisfaction has significantly increased in recent years, driven by the widespread use of social media and the growing global challenges related to mental health. The present study examined the relationship between social anxiety, the intensity of social media use, and body dissatisfaction. Correlation, regression, and moderation analyses were conducted based on data from 106 participants. The results revealed that both social anxiety and social media use were positively correlated with body dissatisfaction. Regression analysis showed that both variables significantly predicted body dissatisfaction; however, no moderating effect of social media use was found. The findings highlight the importance of further exploring the interplay between psychological well-being and the media environment, especially among younger populations.

Keywords: social anxiety, active use of social media, body dissatisfaction.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და პროფესიული ხელმძღვანელობისთვის გულწრფელი მადლობის გადახდა მსურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორი, ირინა ვარდანაშვილისათვის. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის განვითარებაში, აქტიურად იყო ჩართული კვლევისა და წერითი სამუშაოების ყველა ეტაპზე. მის გარეშე ამ ნაშრომის საბოლოო სახით წარმოდგენა ნამდვილად რთული იქნებოდა.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმ რესპონდენტების მიმართაც, რომლებიც გულწრფელად ჩაერთვნენ კვლევაში. მათი თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია საფუძვლად დაედო ნაშრომის ანალიტიკურ ნაწილს და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შედეგებს.